ხუთშაბათი, ივლისის 8 1919 წ

ფასი 1 მ. 50 კ.

№ 129

ჩვენი ქვეყანა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ქუთაისი ფოსტის

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 30 მან 3 თვით 75 მ. **განცხადებანი:** ერთ სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

ვაცხადებთ როგორც ქუთაისის, ისე პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი 10 ივლისის შემდეგ აღარ მიუვათ იმ პირთ, რომელთაც გაზეთის დასაკვეთი ფული გადახდილი არა აქვთ. პროვინციის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ფული გამოგზავნონ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის სახელზე. ვისაც 10 ივლისს გაზეთის ფასი სრულიად გადახდილი არ ექნება, მას გაზეთის გზავნა შეუწყდება და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲠᲝᲒᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ:

1) მიწის მოთხრა . . . . . 800 კუბიკ. საჟ.
2) ქვაფენილის აყრა ლიანდაგის გასაყვანათ და კვლავ შეკეთება . . . . . 00 კვადრ. საჟ.
3) ქვის სამუშაო . . . . . 12 კუბიკ. საჟ.
4) „ბალასტის“ გადახვიდვა . . . . . 100 კუბიკ. საჟ.

ყოველ გვარი ცნობისთვის საჭიროა მიმართონ გზის გამყვან ინჟენერს **კარპოვს** პეტრე-პავლეს ქუჩა, ჩიკვაიძის სახლი. განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ერობის სატეხნიკო განყოფილებაში.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲕᲝᲐ

განცხადება უნდა შემოიტანონ დახურულ კონვერტში ნამდვილი მისამართის აღნიშვნით არა უგვიანეს ხუთშაბათისა 10 ივლისის. 4—2

ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ.

ქუთაისის სამხატვრო საზოგადოების საბჭომ მოაწყო სამხატვრო სტუდია. სტუდია მოთავსებულია რეალურ სასწავლებელში.

მუშაობა სწარმოებს: დილით 8—2 საღამოს 5—7.

სტუდიაში მუშაობის მსურველთ შეუძლიათ პირობების გასაგებათ მიმართონ გრიგოლ მესხს ან სერგო კაკაბაძეს რეალურ სასწავლებელში დილის 9—11 საათამდე.

ქუთ. სამხატვრო საზოგადოების საბჭო.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ 9 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲥᲐᲚ. ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

თარხანიშვილების ასულთა გრანდიოზული კონცერტი

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ ბილეთები თეატრის კასაში.

2—1

ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეშაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და საღ. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲓᲐ

მოწმობა ქ. ხოჯევანიშვილის პროგიმნაზიის კურსის დასრულებისა. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: — მესხეთის ქუჩა თეოდორა ქებულაძეს. 1—1

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების ავადმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (იხ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავადმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲔᲬᲧᲝᲗᲒᲘᲗ?

საქართველოს ტამოუკიდებლობა მისთვის გვინდა, რომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ვაწარმოოთ. დამოუკიდებლობას გადაჭრით მისთვის. მოვითხოვთ და მისთვის ვეტრფით, რომ ჩვენ თვითონ ჩვენი შესაფერი და სასარგებლო წესწყობილება გვინდა შემოვიღოთ და დავამყაროთ. დამოუკიდებლობა მისთვის არის სანეტარო, რომ ჩვენ შინაურ საქმეებში ვერავინ ჩამოერევა და სხვისი ბატონობა, „მზრუნველობა“ „პირისუფლობა“ ერთხელ და სამუდამოთ მოისპობა; მოისპობა და მასთან ერთად ისიც მოისპობა, რაც უწესო, ურიგო და გამანადგურებელი ხდებოდა ბოროტი ხელით.

დამოუკიდებლობა საკუთარ თავისუფალ ცხოვრებას მოგვაწყობიებს, მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოს კი არ დაგვაშორებს, პირიქით დაგვაახლოვებს. სწორეთ დამოუკიდებლობის საშუალებით შეგვიძლია პირისპირ დაუდგეთ ყოველ სახელმწიფოს და მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ მასთან.

ამ ბოლო საუკუნოებში საქართველოს მთელი ევროპა და ამერიკა რუსეთით იცნობდა. ცალკე საქართველო აღარც კი ისმოდა. კარგი რამ მოხდებოდა ჩვენში თუ ავი — ყველაფერი რუსეთის გამო ხდებოდა; წახდებოდა რამ — რუსეთს ბრალდებოდა, გაკეთდებოდა რამე და მას ესახელებოდა. რუსეთთან დამოკიდებულობისა გამო მთელ ქვეყანას ჩამოშორებული ვიყავით.

დამოუკიდებლობა კი, რასაც დღეს ვესწრაფვით, ასეთ მდგომარეობას არსებითად სცვლის და სულ სხვა წესს ამყარებს.

დამოუკიდებლობის დღიდან საქართველო თავისი საკუთარი სახით გამოვა, კარგიც და ცუდიც მისი პირადი ღირსება — ნაკლულოვანება იქნება. კარგი რამ გამოჩდება — მას ესახელება და ცუდი რამ იქნება — მას დაბრალდება. აი ამაშია ჩვენი დანიშნულებაც და პასუხისგებაც.

მართალია, დამოუკიდებლობაში თავისუფალი შემოქმედება იმუშავებს, საკუთარი ინიციატივა იქნება ყველგან და ყველაფერში, ვისიმე ძალდატანება და ზეგავლენა გადაჭრით უარყოფილი იქნება, მაგრამ ისეთი რამეს შექმნა და ისეთი რამეს დამყარება, რაც სრულებით არ იქნება შეფარდებული და დამაახლოვებელი სხვისთვის — მაინც შეუძლებელია. დამოუკიდებელი რომ ვიქნეთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დაშორებული ვიქნეთ. დამოუკიდებელი რომ იყო ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სხვისთვის საგულისხმო, სასურველი და საინტერესო არ იქნე. დამოუკიდებლობა — ცალკე საკუთარი ცხოვრების მოწყობა და განსაკუთრებული წესწყობილების დამყარება ერთი მხრით გვაახლოვებს მეზობელ სახელმწიფოებს, ვინაიდან სახელმწიფოებრივი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სხვასთან შეკავშირებით, დანათესავებით და საერთო ინტერესების შეფარდებით, რომ ამის გამო თანდათან გამოინახოს საერთოთ სამოქმედო ასპარეზი, საერთო გასაგები ენა და საერთოთ საყურადღებო სამუშავო გეგმა.

თუ დამოუკიდებლობას ველირსეთ და ასეთ კალაპოტში ჩავაყენეთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობა, უსათუოდ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, როგორ ვიმოქმედოთ და როგორ შეუფარდოთ ჩვენი მუშაობა სხვა სახელმწიფოთა მიმართულებას, გემოვნებას და მოთხოვნილებას.

აწი რა იქნება არ ვიცით და დღემდი რაც მოხდა — ეს არავისთვის სახაფიფო და მოსაწონი არ არის. ამ ორი წლის განმავლობაში რაც აქ მოხდა — ამის მადლობელი არც სოფელია და არც ქალაქი. ის ნაბიჯები, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გადადგა სოციალიზმის განსახორციელებლათ და საერთო თავისუფლება თანასწორობის დასამყარებლათ იმდენათ ნაჩქარევი, აუწონელ დაუწონელი შეიქნა, რომ ყველაფერმა შინაურიც შეაშინა და გარეულიც. მეტათ მოხთენილი და სამართლიანი კრიტიკა იყო ჩვენი მთავრობის მოქმედებისა თფილისში გამოცემული გერმანული გაზეთის ფურცლებზე. სამართლიანი შენიშვნები იყო მთავრობის დეკრეტებზე, რომ ასეთი ნაბიჯები სახელმწიფოს ვერ ააშენებსო, პირიქით დაანგრევსო.

მართლაც ვის მოეწონება და ვის დააინტერესებს წინდაუხედავათ გამოცემული ჩვენი მიწის დეკრეტი? ვის მოეწონება და ვინ გაამართლებს ჩვენში ფართოთ მიღებულ რეკვიზიციას? ვის დააკმაყოფილებს ჩვენებური ზერელე სამართალი? ვინ შეუთანხმდება ჩვენში გავრცელებულ მოსამსახურე პირთა უპასუხისმგებლობას? ვის არ გააკვირვებს და არ გააცვიფრებს ჩვენში სენათ მოდებული პროფესიონალური კავშირების გაუგებარი მოქმედება და სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და მართვა-გამგეობის სფეროში მაოი შიჭრა? ვის არ დააეჭვებს და არ შეაფიქრებს ჩვენი მთავრობის ნაჩქარევი ნაბიჯები სოციალისტური პროგრამის განსახორციელებლათ გადადგმული? ვის არ დააღონებს და არ შეაწუხებს ჩვენში საერთოთ დისციპლინის დაცემა, მოვალეობის შეუგნებლობა და სახელმწიფოს საკუთრების აბუჩათ აგდება?

დიახ! ვისაც ჩვენი მეზობლობა უნდა, ვისაც ჩვენთან კავშირის დაჭერა სურდეა, ვისაც ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობასთან და მეურნეობასთან საქმე ექნება, ის ისურვებს და კიდევაც მოითხოვს, რომ ჩვენში ესა თუ ის დარგი რიგზე მოლაგებული იქნეს. საქმის ხალხი ჩვენც საქმიანობას მოგვთხოვს. მხოლოდ მტერი შეგვხვდავს ალმაცერად, მოყვარე კი ყოველთვის, გონიერებას გვისურვებს და გვაიძულებს. დავაინტერესებთ ჩვენ ვისმეს?.. ვნახოთ!

ტრიფონ ჯაფარიძე.

რუსული პრესა.

პროვოკაციის ნიმუშები.

დენიკინის „რუსეთი“ და რუსული პრესა ვერ ინელებს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. ჩვენს წინააღმდეგ ყოველდღიურად აქვეყნებენ აღმაშფოთებელ ყალბ ცნობებს, რითაც რუსის ხალხს ჩვენს წინააღმდეგ ძალა უნებურათ ამხედრებენ და საქართველოსადმი სიძულვილს უნერგავენ.

გაზეთ „ტერსკი კაზაკის“ ივნისის 20 ს ნუმერში საქართველოს შესახებ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„საქართველოში ბოლშევიზმი, განოყიერებული გერმანულის ფულით, მომაგრდა და ძლიერდება. ანარქია და თვითნებობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რუსებისადმი მოპყრობა აშკარად აბუჩად აგდებაა. მოხალისეებს და ყაზახებს, რომელნიც იბრძვიან დიდი და თავისუფალი, რუსეთის აღდგენის, კანონიერების, წესიერებისა და უფლებისათვის, საქართველოში ყაჩაღთა ბანდებს უწოდებენ.

საქართველოს ეგრედ წოდებული „სახალხო გვარდია“ ცოტათი განსხვავდება წითელ არმიელებში: ისინი განსაკუთრებით მისდევენ ყაჩაღობასა და ძარცვა გლეჯას. ამაში მათ ეხმარება საქართველოს მთავრობა. „სახალხო გვარდია“ უმთავრესად სძარცვავს რუსებს. სახალხო გვარდიელების ბრბოები უცვივიან რუსებს სახლებში და აწიოკებენ. განსაკუთრებით შევიწროებულნი არიან რუსი მოვაჭრენი. მათ ხშირად ეწვევიან ხოლმე გვარდიელნი, მიაქვთ საქონელი და საფასურად ყალბ ფულებს აძლევენ. რუსი ვაჭარი უარზე რომ არის ყალბი ფულის მიღებაში, მას აპატიმრებენ და უმისოთ სძარცვავენ და აწიოკებენ მის ბინასა და სავაჭროს.

რუსების დაპატიმრება ყოველ დღე ჰხდება. ყოველდღე რუსი დევნას განიცდის. ამ დღეებში მთავრობამ დაბეჭდა მართმადიდებელ რუსთა ტაძარი თფილისში და იქ აჰკრძალა ღვთისმსახურება.

პირველ მაისობის დღესასწაულზე საქართველოს მმართველნი ჰკვეხულობდნენ ხალხის წინ, რომ „ვერც ერთი რუსი ფეხს ვერ დაადგამს ჩვენს მიწა-წყალზეო“.

ასეთ ჭორებს ავრცელებენ ჩრდილოეთის პროვოკატორები და საბრალო რუსის ხალხს თვალებს უბრმავებენ.

— —

იგივე გაზეთი ადერბაიჯანის შესახებ სწერს:

„ადერბაიჯანის მთავრობა, როგორც მნახველნი გადმოგვცემენ, ძალიან ცუდად ეპყრობა მოხალისეთა ოფიცრებს: მათ აპატიმრებენ, ჰგლეჯენ პაგონებს და ყოველ გზით მასხარად იგდებენ. ადერბაიჯანის „რესპუბლიკაში“ მკვიდრი ბუდე გაიკეთა ბოლშევიზმმა. სოვდეპიიდან აქ გამორბიან კომისრები. აქვე ამყოფებიან გერმანელების აგენტები. კომისრებსაც და გერმანიის აგენტებსაც დიდძალი ფული აქვთ. კომისრებში განსაკუთრებით ებრაელები არიან. მათ ხელთ იგდეს ადერბაიჯანის სოციალისტური პრესა და სდევნიან ყველა მათ, ვინც კანონიერებას წესიერებისა და რუსეთისთვის იბრძვის“.

კომენტარიები ზედმეტია. მკითხველი ნათლად დაინახავს თუ რა მტრულად უცქერის, როგორც დენიკინი, ისე ჩრდილოეთის პრესაც საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობას.

ფრანგული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ განიხილა ავსტრიისა, ბულგარეთისა და ოსმალეთთან დასადები საზავო პირობები. ყველას მაღე დაამთავრებენ გარდა ოსმალეთის პირობებისა. ოსმალეთის დელეგატები შაბათს წავლენ. ბრიტიანოს მოხსენება მოისმინეს. ოთხშაბათს ბრატიანო ბუქარესტს გაემგზავრება.

იტალიური პრესის ცნობები.

(საქ. დეპ. საგენტო)

უნგრეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნა იტალიის მისიის თავმჯდომარემ ბუდაპეშტი პოლკ. რომანელიმ, რომელმაც რევოლუციონერები სიკვდილით დასაჯა. ბელაკუნმა ნოტაზე შემდეგი პასუხი გასცა: თქვენი ნოტის საპასუხოთ მსურს განვაცხადო, რომ მთავრობა ზიზღით შეხვია თქვენ მუქარას, რომ შინაგან პირობებით გამოწვეულ ამბების პასუხისმგებლათ ჩვენ გაგვხდით. მიუნქენში, რიგაში, უკრაინაში და ფინლიანდიაში მოკავშირეებს არც ერთხელ არ განუცხადებიათ პროტესტი სიკვდილით დასჯის გამო.

იტალიასთან მოლაპარაკება განახლდა, ფიქრობენ, რომ ადრიატიკის საკითხი მალე გადასწყდება. ვილსონი ფიქრობს, რომ ფიუმეს მაგიერ სხვა კომპენსაციები უნდა მისცენ იტალიას.

გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა ბაუერმა „დეიტშე-ალგემაინე-ცეიტუნგის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მთავრობის პროგრამის შესახებ შემდეგი სთქვა: „ახალი სამინისტროს პირველი მიზანი იყო ზავზე ხელის მოწერა, მაგრამ მისი დაარსების ნამდვილი მიზეზები და მისი ხასიათი ამ თვალსაზრისით არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს. შეიდვმანის კაბინეტი სცდილობდა საზავო ხელშეკრულებასა და ვილსონის პრინციპების შორის საერთო წერტილი გამოენახა. ახალი კაბინეტის მიზანია გერმანიის აღორძინება. კაბინეტის შეადგენლობაში მინისტრების არჩევნებიც ამითვე აიხსნება. მე თვით მუშა ვარ და უკანასკნელ კაბინეტში შრომის მინისტრი ვიყავი. ამგვარად შრომის ახალი ორგანიზაცია და სახელმწიფო სოციალური აღმშენებლობა პირველ რიგში სდგას. ამის მიზეზია არა მარტო . ის, რომ სოციალდემოკრატიული პარტია არის ხელმძღვანელი პოლიტიკის სფეროში, არამედ ისიც, რომ მდგომარეობა, რომელიც ომმა გამოიწვია და მისი შედეგები შეიძლება გაუმჯობესებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ სოციალურ სახელმწიფოში ჩვენ მაქსიმალურად ეფექტს მოვახდენთ შრომის სფეროში და ვეცდებით დავიბრუნოთ ის, რაც დავკარგეთ ხალხის ქონების და ტერიტორიის სახით.

ცნობები რუსეთიდან

(ს. კუთარი კორესპოდენტისაგან)

თეთრი ტერორი.

მოხალისეთა ჯარის ორგანიზაციამ „თეთრი ტერორი“ შემოიღო. პირველი მსხვერპლი თეთრი ტერორის შეიქნა ყუბანის რადის ნაციონალური ფრთის ლიდერი რიაბოვოლა. მიზეზი მკვლელობისა იყო რიაბოლოვას მისწრაფება ყუბანის დამოუკიდებლობისთვის. მსხვერპლი შესწირეს როსტოვში „პალას-ოტელში“,

დონი და ქართველობა.

დონში ქართველობას მეტი პატივისცემით უცქერენ ვიდრე ყუბანში. გამოცხადებული მობილიზაცია ქართველების ან და ორ კვირაში დონის ოლქის დატოვება რომელიც გამოქვეყნდა მთავრობის და „ვოისკოვოი კრუგის“ დაუკითხავათ, როსტოვის კონსულის მეცადინეობით სამ დღეში მოხსნეს. დონის ოლქიდან გამოსასვლელათ ქართველებისთვის საკმარისია ქართული საკონსულოს ნებართვა.

ყუბანი და ქართველობა.

ყუბანიდან ქართველებს არ უშვებენ. ნებართვისთვის საჭიროა უარი სთქვას რუსეთის სახელმწიფოებაზე, და რუსეთში დაბრუნებაზე. ამის მერე ორი კვირის შემდეგ სასალდათო ქართველები კატეგორიულ უარს ღებულობენ, მოხუც და ბავშებს უშვებენ.

ნოვოროს ის ყოფილი კონსულის ბრალდება.

ნოვოროსიის უკანასკნელ კონსულს (ეხლა გამოძეებულს) ნოვოროსიის ქართველობა იმ თერთმეტი ათასი მანეთის გაფლანგვას აბრალებს, რომელიც მას ტყვეების გასამგზავრებლათ მოუგროებია. საჭიროა ყოფილმა კონსულმა პორ. კ—ძემ თავი იმართლოს.

საქართველო და საბჭოთა რუსეთი.

ყუბანში ხმებს ავრცელებენ ქართველები და საბჭოთა რუსეთის ჯარი ერთად შეეროდენ სოჭის ფრონტზე საბრძოლველათო.

დენიკინი ემზადება.

დენიკინი საქართველოს საზღვრებისკენ პოზიციებს ამაგრებს და ბრძოლისთვის ემზადება. სოჭის ტყე ზარბაზნებით არის ავსილი. ჯარების დასაბინავებელი ორგანიზაციები დოდაფსოში, მოწყობილია.

მწვანე ჯარი.

რეპქციონურმა უუსეთმა ქართველების ბეხდრობა მწვანე ჯარის სახელ წოდებით მონათლა.

ხარლამოვი—საქართველოზე.

„ვოისკოვოი კრუგის“ თავმჯდომარემ ხარლამოვმა განაცხადა, ჩვენი მიზანია ჯერ რუსეთის დედა ქალაქის განწმენდა და შემდეგ კავკასიის წვრილი ერების შემოერთება. ამ მიზნის ასრულება ეხლაც შეიძლებოდა, რომ საქართველოს ინგლისი არ იფარავდესო.

სანოვაგის სიძვირე.

ამ უკანასკნელ თვეებში დონში და ყუბანში საზღაპრო სიძვირე შეიქნა. პური რომელიც წინა თვეში 85 კაპ. იყო ღღეს 4 მან. 50 შაური ღირს. ხორცი 12 მან. გირვანქა შაქარი 120 მან. ერბო 40—50 მანეთი. ყველი 30 მან. გირვანქა. ღვინო 140 მან. პატარა ბოთლი. გაძვირდა აგრეთვე სხვა საქონელიც. მანუფაქტურა თითქმის სრულებით არ მოიპოვება. ფეხსაცმელი სულ უკანასკნელი 1000 მანეთი. სპიჩკა 7 მან. 1 კოლოფი.

უკანასკნელი ცნობები

ლეჩხუმი.

ზარალი სეტყვისაგან ჭრებალო. 27 ივნისისს ლეჩხუმის მაზრაში სეტყვამ გაანადგურა სოფლები: ლაილაში, პრჭყალა, ხურმუში, საირმე. მთელი მოსავალი დადუპულია. ხეებს ქერქი აქვს შეგლეჯილი. ჭირნახულის თესვას გლეხები ხელახლა შეუდგნენ. ზარალი ასი ათასობით არის.

ოზურგეთი

საგანგებო სასამართლოში. საგანგებო სასამართლომ ნესტორ ჭყონიას, როგორც დედის მკვლელს, მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. შემოქმედის მონასტრის გაძარცვის საქმეში სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა: 12 წლის კატორღა გერასიმე ბარამიძეს, ათ-ათი წლის კატორღა- იოსებ ბერძენიშვილს, ყარამან სიხარულიძეს და გიორგი სალუქვაძეს. დანარჩენი ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა.

პარიზი.

„საქართველოს საინფორმაციო ბიულეტენი“ პარიზში გამოდის „საქართველოს საინფორმაციო ბიულეტენი“, რომელშიაც ჩვენი ცხოვრებიდან იბეჭდება სხვადასხვა ცნობები. ამ ბიულეტენის 12 მაისის მე-7 ნომერში მოთავსებულია სხვა ცნობებთან ერთად ამსტერდამში ინტერნაციონალთან არსებული მუდმივი კომისიის მიერ 28 აპრილს 1919 წ. მიღებული რეზოლიუცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რომელშიც ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

ბაქო.

ადერბაიჯანი და მოხალისენი. ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა 2 ივლისს ნოტა გაუგზავნა ბაქოში მყოფ ბრიტანეთის ჯარების სარდალს, რომელშიაც თუ არა ასრულებენ ინგლისის მთავრობის წინადადებას სადემარკაციო ხაზის შესახებ, არამედ—არღვევენ მას. მოხალისეების გენერალმა ერდელმა ჩვენ წარმომადგენელს ახვერდოვს მოსთხოვა დაღესტანის საზღვრებიდან გასვლა. ადერბეიჯანის მთავრობა პროტესტს აცხადებს გენ. ერდელის განკარგულების გამო და სთხოვს ინგლისის მთავრობას აიძულონ მოხალისენი პატივით მოეპყრან ადერბეიჯანის რესპუბლიკის უფლებებსო.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მესამე კონფერენცია

შაბათს მკათათვის ნ.ს თბილისში, ღღის 12-საათზე გაიხსნა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მესამე კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე **სპ. კედიამ.**

კონფერენ პრეზიდიუმის არჩევნები

საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს: ნიკო ნიკოლაძე.

კონფერენციის თავმჯდომარედ: სპირ. კედია.

თავმჯდ. ამხანაგებად: ექვთ. თაყაიშვილი და ვას. წერეთელი.

მდივნად: მიხ. ხერხეულიძე. ამხანაგებად გ. ციცქიშვილი და ნ. დგებუაძე.

პრეზიდიუმის არჩევნების შემდეგ კრება გადაიდო საღამოს 6 საათისათვის.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ბათომში ინგლისიდან დაბრუნდა საქართ. მთავრობის წარმომადგენელი დ. ლამბაშიძე.

✖ თბილისის ბირჟა. 1,000 მანეთ. კერენკა: მყიდველები 1,400 მან. გამყიდველები 1,500 მან 250 მ. კერენკა მყიდველები 1.200 მ. გამყიდველები 1, 250 მან. ნიკოლოზის 500 მან. ახალი: მყიდველები 1,450 მ. გამყიდველი 1550 მან. ნიკოლოზის 100 მან. მყიდველები 300 მან. გამყიდველები 350 მან. ოქროს თათრული ლირა: მყიდველები 320 მ. გამყიდველები 350 მან.

აზერბეიჯანის ბონებს იძლევიან 8 პროც. ნაკლებათ.

სამთო უბნის კომისარი ირაკლი კუპრაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან იპოვა პატარა საფულე, რომელიც ჯერ არ გაუხსნია. დამკარგველს შეუძლია მიაკითხოს სამთო უბნის კომისარიატში.

რუსეთიდან. გუშინ ქუთაისში და გრუნდენ დონის როსტოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ბიკენტი აბესაძე, სილ. ცხაკაია და დ. კუხალეიშვილი, რომლებმაც ბევრი საყურადღებო ამბები გადმოგვცეს.

✖ თეატრი მინიატიური. ქუთაისში თეთრ ხიდთან გაიხსნა თეატრი მინიატიური. წარმოდგენები ყოველ დღე იმართება.

საქართველოს ვაგონაები სომხეთში

თბილისი. სომხეთის გზათა რწმუნებულს ინჟ ხატისოვს პირი. გუმბრი. საქართველოს გზათა რწმუნებულს ინჟინერ ლუკიანოვს. სადგურ სანაინამდე 25 ივნისიდან თქვენზე ითვლება ვალათ 472 ვაგონი, 3 (?) და 245 ცისტერნი, სულ 720 ვაგონი—ერთეული, რომლებიც გადავიდენ ადერბეიჯანის გზიდან ოსმალეთა შეარაღებულ ჯარის გასვლის დროს წასულ წელს. ადერბაიჯანის გზა დაბეჯითებით მოითხოვს ამ ვალის ანაზღაურებას. ჩვენი თქვენდამი მომართვაზე, რომ ეს ვაგონები დაგებრუნებიათ. თქვენ ყოველთვის გვიპასუხებდით, რომ ვაგონების ასეთი რაოდენობა სომხეთის გზაზე არ არის. ამ გარემოებამ მაიძულა მე თქვენი თანხმობით გამომეგზავნა აგენტები სომხეთის გზაზე ვაგონების რაოდენობის გამოსარკვევათ.

ამ ჟამად ჩვენი აგენტები ლუკიანოვი გუმბრიდან იტყობინებაა, რომ სომხეთის გზების სამართველომ ნება არ მისცა მას ვაგონების აღწერისა. კიდევ დაბეჯითებით გთხოვთ თქვენ გამოარკვიოთ ამ ვალების საკითხი სომხეთის გზაზე ვაგონების აღწერის საშუალებით, წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სომხეთის გზა უარს ამბობს ამ ვალზე და იძულებული ვიქნებით სხვა ზომები მივიღოთ. **ნ. კანდელაკი.**

პურღვინით მოვაჭრეთა პრეგა.

29 ივნისს მოხდა ქუთაისის პურ-ღვინით მოვაჭრეთა კავშირის წევრების არაჩვეულებრივი კრება, კრება გახსნა კავშირის თავმჯდომარემ ს. ბ. აბაკელიამ, კრების თავმჯდომარეთ ამორჩეულ იქმნა ი. ლორთქიფანიძე, მდივნათ ჯაფარიძე. დღიურ წესრიგში შეტანილ იქმნა შემდეგი საკითხები. 1) მოხსენება კავშირის თავმჯდომარის ს. აბაკელიესი 2) პირველი ნახევარი 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა 3) სამკითხველოს დაარსება 4) თავჯმდომარის და მწერლის ჯამაგირი 5) ავეჯეულობის შეძენა კავშირისთვის 6) ღვინით ვაჭრობის წესდების შესამუშავებლათ სხვა ქალაქების პურ-ღვინით მოვაჭრეთა წარმომადგენლების მოწვევა და არჩევნები საგანგებო კომისიის ამ საკითხისთვის 7) კავშირის თავმჯდომარის არჩევა 8) კავშირის ხაზინადრის არჩევა 9) სარევიზიო კომისიის არჩევა 10) ახალი გამგეომის არჩევა 11) ჩბნის წარმომადგენლების არჩევა 12) 16 მარტის საზოგადო კრების დადგენილების დამტკიცება ან დარღვევა.

კრებას დაესწრო კავშირის 133 წევრი მიუხედავათ იმისა, რომ კრებას კანონიერი რიცხვი წევრებისა არ დაესწრო იქნა ცნობილი კრება კანონიერათ, მხოლოთ რამოდენიმე წევრმა შემოიტანა განცხადება, რომ არ გამოცხადებულ წევრებს არ მიეცეს მორიგეობა კვირა ღღე და გამორიცხულ იქმნას კავშირის წევრობიდან.

ს. აბაკელიამ მოახსენა საზოგადოებას თუ რა დაბმარებას უწევს კავშირი პურ-ღვინით მოვაჭრეთ და შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვა. კავშირს შემოსვლია საწევრო ფული 8340 მ. და გასავალი კი მწერლის ჯამაგირი, თავმჯდომარის ჯამაგირი შენობის ქირა და სხვა და სხვა საკანცელარიო ხარჯები 10660 მ. კავშირის ხაზინადართან უგრეხელიძესთან ამ წლის შემოსავლის გარდა აღმოჩდა 2408 მ. ე. ი. კავშირს ქონია ღღევანდელ ღღემდის 10760 მ. და ბეთ მიცემული კიდევ პავლე ბახტაძესთან სახლის დაქირავების შესახებ 500 მ. სულ 11260 მ. კავშირს დარჩენია საკუთრებათ 600 მ. რომელიც აბარია ხაზინადარს.

კრებამ ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა. ამის შემდეგ აბაკელიამ მოახსენა კრებას ხაზინადარ ალექსი უგრეხელიძის მდგომარეობა, რომელსაც ებარა, როგორც კავშირის ფული 2428 მ. აგრეთვე სამხედრო კომიტეტისთვის მოგროვებული 10500 მ. ალექსი უგრეხელიძემ ეს ფული ვერ წარმოადგინა პირველ მოთხოვნილებაზე და გამგეობის წინაშე ითხოვა ორი კვირის ვადა, რაზედაც გამგეობამ კატეგორიული უარი უთხრა გამგეობას და თავმჯდომარეს კავშირისას რაც მათ ხელში ფული იყო, რომელიც უდრის 10000 მ. უკვე წარვადგინეთ სამხედრო თავმჯდომარესთან.

ა. უგრეხელიძეს [illegible] გადაუხდია და მოსალოდნელია შინ ვაჭრო ამ ფულის [illegible] დული იქნეს. კრებამ ეს წინადადება მოწონა.

აბაკელიამ სთხოვა საზოგადოებას, როგორც კავშირის დამაარსებელმა, კავშირის თავმჯდომარეთ და გამგეობის წევრებათ ამორჩეულ იყვნენ შეგნებული ამხანაგები, რომლებსაც შეეძლოს თავისი სწავლა განათლებით კავშირის გაფართოება და წარმოება.

მოხსენების შემდეგ და ხარჯ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა თავმჯდომარის და მწერლის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, კრებამ მიიღო: თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1000 მ. და მწერალს 550 მ. თვეში. კამათის შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისევ ს. აბაკელია. გამგეობის წევრებად 1) წაგრ. გრიგოლაშვილი 2) ივ. ტყეშელაშვილი 3) გაბ. თათარიშვილი 4) ერ. ჯაფარიძე 5) ან. ჯინჭარაძე 6) ი. ცნობილაძე 7) ნ. წერეთელი 8) ვლ. კოსტავა 9) ალ. ბერაძე 10) ნი. ფხაკაძე მათი კანდიტატებათ 1) ი. ჯულუხაძე 2) გალ. პირვალიძე 3) ან. უშვერიძე 4) მიხ. ქუთათელია 5) ალ. კუპრაშვილი 6) ი. მორგიძე 7) ილ. გაბუნიბ 8) მაქ. ხვინგია 9) ირ. ჭეიშვილი 10) მ. ფხაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ 1) პ. ტალახაძე 2) ი. ხეთერელი 3) პ. გვარამია 4) ის. ჩოგოვაძე.

არჩევნების მოხდენის შემდეგ და 16 მარტის საზოგადო კრების დამტკიცების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა თავმჯდომარის და მწერლის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, კრებამ მიიღო: თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1000 მ. და მწერალს 550 მ. თვეში. კამათის შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისევ ს. აბაკელია. გამგეობის წევრებად 1) წაგრ. გრიგოლაშვილი 2) ივ. ტყეშელაშვილი 3) გაბ. თათარიშვილი 4) ერ. ჯაფარიძე 5) ან. ჯინჭარაძე 6) ი. ცნობილაძე 7) ნ. წერეთელი 8) ვლ. კოსტავა 9) ალ. ბერაძე 10) ნი. ფხაკაძე მათი კანდიტატებათ 1) ი. ჯულუხაძე 2) გალ. პირვალიძე 3) ან. უშვერიძე 4) მიხ. ქუთათელია 5) ალ. კუპრაშვილი 6) ი. მორგიძე 7) ილ. გაბუნიბ 8) მაქ. ხვინგია 9) ირ. ჭეიშვილი 10) მ. ფხაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ 1) პ. ტალახაძე 2) ი. ხეთერელი 3) პ. გვარამია 4) ის. ჩოგოვაძე.

არჩევნების მოხდენის შემდეგ და 16 მარტის საზოგადო კრების დამტკიცების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა თავმჯდომარის და მწერლის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, კრებამ მიიღო: თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1000 მ. და მწერალს 550 მ. თვეში. კამათის შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისევ ს. აბაკელია. გამგეობის წევრებად 1) წაგრ. გრიგოლაშვილი 2) ივ. ტყეშელაშვილი 3) გაბ. თათარიშვილი 4) ერ. ჯაფარიძე 5) ან. ჯინჭარაძე 6) ი. ცნობილაძე 7) ნ. წერეთელი 8) ვლ. კოსტავა 9) ალ. ბერაძე 10) ნი. ფხაკაძე მათი კანდიტატებათ 1) ი. ჯულუხაძე 2) გალ. პირვალიძე 3) ან. უშვერიძე 4) მიხ. ქუთათელია 5) ალ. კუპრაშვილი 6) ი. მორგიძე 7) ილ. გაბუნიბ 8) მაქ. ხვინგია 9) ირ. ჭეიშვილი 10) მ. ფხაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ 1) პ. ტალახაძე 2) ი. ხეთერელი 3) პ. გვარამია 4) ის. ჩოგოვაძე.

არჩევნების მოხდენის შემდეგ და 16 მარტის საზოგადო კრების დამტკიცების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა თავმჯდომარის და მწერლის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, კრებამ მიიღო: თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1000 მ. და მწერალს 550 მ. თვეში. კამათის შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისევ ს. აბაკელია. გამგეობის წევრებად 1) წაგრ. გრიგოლაშვილი 2) ივ. ტყეშელაშვილი 3) გაბ. თათარიშვილი 4) ერ. ჯაფარიძე 5) ან. ჯინჭარაძე 6) ი. ცნობილაძე 7) ნ. წერეთელი 8) ვლ. კოსტავა 9) ალ. ბერაძე 10) ნი. ფხაკაძე მათი კანდიტატებათ 1) ი. ჯულუხაძე 2) გალ. პირვალიძე 3) ან. უშვერიძე 4) მიხ. ქუთათელია 5) ალ. კუპრაშვილი 6) ი. მორგიძე 7) ილ. გაბუნიბ 8) მაქ. ხვინგია 9) ირ. ჭეიშვილი 10) მ. ფხაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ 1) პ. ტალახაძე 2) ი. ხეთერელი 3) პ. გვარამია 4) ის. ჩოგოვაძე.

ა. უგრეხელიძეს [illegible] გადაუხდია და მოსალოდნელია შინ ვაჭრო ამ ფულის [illegible] დული იქნეს. კრებამ ეს წინადადება მოწონა.

აბაკელიამ სთხოვა საზოგადოებას, როგორც კავშირის დამაარსებელმა, კავშირის თავმჯდომარეთ და გამგეობის წევრებათ ამორჩეულ იყვნენ შეგნებული ამხანაგები, რომლებსაც შეეძლოს თავისი სწავლა განათლებით კავშირის გაფართოება და წარმოება.

მოხსენების შემდეგ და ხარჯ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა თავმჯდომარის და მწერლის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, კრებამ მიიღო: თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1000 მ. და მწერალს 550 მ. თვეში. კამათის შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისევ ს. აბაკელია. გამგეობის წევრებად 1) წაგრ. გრიგოლაშვილი 2) ივ. ტყეშელაშვილი 3) გაბ. თათარიშვილი 4) ერ. ჯაფარიძე 5) ან. ჯინჭარაძე 6) ი. ცნობილაძე 7) ნ. წერეთელი 8) ვლ. კოსტავა 9) ალ. ბერაძე 10) ნი. ფხაკაძე მათი კანდიტატებათ 1) ი. ჯულუხაძე 2) გალ. პირვალიძე 3) ან. უშვერიძე 4) მიხ. ქუთათელია 5) ალ. კუპრაშვილი 6) ი. მორგიძე 7) ილ. გაბუნიბ 8) მაქ. ხვინგია 9) ირ. ჭეიშვილი 10) მ. ფხაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ 1) პ. ტალახაძე 2) ი. ხეთერელი 3) პ. გვარამია 4) ის. ჩოგოვაძე.

არჩევნების მოხდენის შემდეგ და 16 მარტის საზოგადო კრების დამტკიცების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა თავმჯდომარის და მწერლის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, კრებამ მიიღო: თავმჯდომარეს დაენიშნოს თვეში 1000 მ. და მწერალს 550 მ. თვეში. კამათის შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისევ ს. აბაკელია. გამგეობის წევრებად 1) წაგრ. გრიგოლაშვილი 2) ივ. ტყეშელაშვილი 3) გაბ. თათარიშვილი 4) ერ. ჯაფარიძე 5) ან. ჯინჭარაძე 6) ი. ცნობილაძე 7) ნ. წერეთელი 8) ვლ. კოსტავა 9) ალ. ბერაძე 10) ნი. ფხაკაძე მათი კანდიტატებათ 1) ი. ჯულუხაძე 2) გალ. პირვალიძე 3) ან. უშვერიძე 4) მიხ. ქუთათელია 5) ალ. კუპრაშვილი 6) ი. მორგიძე 7) ილ. გაბუნიბ 8) მაქ. ხვინგია 9) ირ. ჭეიშვილი 10) მ. ფხაკაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ 1) პ. ტალახაძე 2) ი. ხეთერელი 3) პ. გვარამია 4) ის. ჩოგოვაძე.

გაზ. „ჩვენი ქვეყანა“-ს ფონდისათვის.

მძიმე პირობებში უხდება რედაქციას გაზეთის გამოცემა.

სიძვირის გამო გაზეთის დეფიციტები ყოველდღიურად იზრდება.

საჭიროა თანამგრძნობთა დახმარება შემოწირულების შეგროვების სახით.

მოუწოდებთ მკითხველებს და პარტიის წევრებთ, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში შეაგროვონ შემოწირულებანი ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

პარტიულ ახალგაზდებს ვსთხოვთ გამართონ პროვინციებში საღამო-წარმოდგენები და შემოსავალი გამოგზავნონ გაზეთის სასარგებლოთ.

პარტიის ყველა წევრი ვალდებულია დაეხმაროს თავის ინტერესების დამცველ ორგანოს.

მოქალაქენო, გაიღეთ თქვენი წვლილი დაეხმარეთ თქვენს გაზეთს.

გააძლიერეთ გაზეთის ფონდი.

გაზ. „ჩვენი ქვეყანას“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.